# საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
# გენერალური დირექტორი

KA990103687863620

**№02/55** **06 / აგვისტო / 2020 წ.**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## “კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ” საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის №02/51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 51-ე, 52-ე, 53-ე, 63-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება “კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ” საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის №02/51 ბრძანებაში და ბრძანების დანართი ჩამოყალიბდეს N1 დანართის თანახმად.
2. დაევალოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერ ვნული სააგენტოს

გენერალური დირექტორის №02/5 0, 22.07.2020 ბრძანების

**დანართი**

| № | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. |  | რომ ე ო<br>ფი ლფა ნ ი<br>ს ს ა ხ ლი<br>და<br>და რბ ა ზ-<br>მ ა ჩ უბ ი | მესტიის მუნიციპალიტეტი, ლენჯერის თემის სოფელი ჰეშკილი GPS კოორდ.<br>X 313419 Y 4765133 | არქიტექტურის / ეთნოგრაფიული | გვიანი შუა საუკუნეები |
| 2 | <br> | „შინდისის ბრძოლის მემორიალური შენობები (სადგური, პლატფორმა, სამართავი პუნქტი)“ | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი შინდისი | მემორიალური | 2008-2019 წლები |